# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 102 ოთხშაბათი, 27 ნოემბერი, 1918 წ. № 102


ეროვნული ბიბლიოთეკა


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


## ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებული სალიკვიდაციო განყოფილება

აცხადებს, რომ კავკასიის ფრონტის დაწესებულებათა ლიკვიდაციის დამთავრების გამო, ყველა იმ პირთ, რომლებსაც სალიკვიდაციო დახმარება ეკუთვნისთ, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ტფილისის ხაზინაში, არა უგვიანეს ამა წლის 5 დეკემბრისა, ტალონები ხვედრი ფულის მისაღებად, ტალონები უნდა გატარებულ იქნეს ფინანსთა სამინისტროს სალიკვიდაციო განყოფილებაში, რათა რეგისტრაცია გაუკეთდეს ამ ტალონებს ტფილისის ხაზინაში. ვინც აღნიშნულ ვადაში ტალონებს არ წარმოადგენს, დაჰკარგავს უფლებას ხვედრი ფულის მიღებისას, ასიგნოვკები კი გაუქმდება. 1021 4—3

## „ტფილისის ფურცლის“ გამომცემლობისაგან

„ტფილისის ფურცელი“ ახალ გამომცემლობის ხელში გადავიდა. გამომცემლებს ძალიან კარგად ესმით რა საპასუხისმგებლო საქმეს კისრულობენ. გრძნობენ რა ამ დიად პასუხისმგებლობას, იმათი მიზანია არ დაზოგონ საშუალება და არ შეჩერდნენ არავითარი დაბრკოლების წინ, რათა გარდაქმნან ეს გაზეთი სერიოზულ და ცოცხალ ორგანოდ საზოგადოებრივ აზრისა. მკაცრი უპარტიობა, ობიექტიური ანალიზი საზოგადოებრივ მოვლენათა და მიმდინარეობისა, ძმობის, სამართლიანობის, მშვიდობიანობის და პროგრესის იდეალების სამსახური—აი ის მიზნები, რომლებსაც განახორციელებს ჩვენი გაზეთი. ამასთან ერთად ჩვენ ვეცდებით საუკეთესოდ მოვაწყოთ გაზეთში ინფორმაცია, რათა ჩვენმა კორესპონდენტებმა რუსეთის და ევროპის ცენტრებიდან, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეებიდან ფოსტით და ტელეგრაფით ყოველთვის აცნობონ მკითხველებს, თუ რა ხდება სხვა სახელმწიფოებში. ამ მიზნების განსახორციელებლად მოწვეულია ახალი რედაქცია, რომელიც იმუშავებს ნ. ა. დუბროვსკისა და ა. ს. შირსკის მონაწილეობით. თანამშრომელთა სია ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული. გაზეთის პირველი ნომერი, ახალი რედაქციით გამოვიდა კვირას, ნოემბრის 24.

2—2 1072

## სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით,

**მოზრდილ ქალ-ვაჟთათვის (წლოვანება განუსაზღვრელია)**

**გაიხსნა ყაზბეგის ქუჩაზე № 18.**

## საღამოს ქართული გიმნაზია

(Вечерняя гимназія для взрослыхъ)

**სახელმწიფო გიმნაზიის პროგრამით.** ✦ **სწავლა სწარმოებს ქართულ ენაზე,**

თხოვნების მიღება გრძელდება. დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გიმნაზიის კანცელარიაში, საღ. 5—7 საათამდის.

1080 2—2 გიმნაზიის გამგე ა. ი ო ა ნ ე.

## სენაკის სამაზრო გამგეობა

**იწვევს ორ ექიმს აბაშაში და ნაოღალევში**

ამუშაოთ. პირობები: ჯამაგირი თვეში 1000 მან., ბინა და სამგზავრო ხარჯები. მსურველთ სთხოვთ განცხადებანი გამოგზავნონ სამაზრო საერობო გამგეობის სახელზე ქ. ახალ-სენაკში, curiculum vitae-ს და წინანდელი სამსახურის რეფერენციების დამატებით.

1054 7—3 სენაკის სამაზრო გამგეობა,

## სახელმწიფო თეატრი

**ო პ ე რ ა.**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს, 28 ნ ო ე მ ბ ე რ ს

ა. ი. ალეშკოს, ა. მ. კანშინისა და ისეცკის მონაწილეობით

## ჟ ი დ ო ვ კ ა

ოპერა ოთხ მოქმედებად და 5 სურათად. ფასები საგრძნობლად დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე. შაბათს, 30 ნოემბერს საბანეევას, ორდას, ზალიპსკისა და ისეცკის მონაწილეობით „რიგოლეტო“. კვირას, ნოემბრის 1-ს დილით I პაიაცები, II ქორწილი უკრაინაში. საღამოს—ალეშკოს, ზალიპსკისა და პოლიაევის მონაწილეობით „დუბროვსკი“. 1056 1—1

## მილიციის უფროსისაგან.

იმ მოქალაქეთათვის, რომლებსაც საქართველოს საზღვრებიდან სურთ გასვლა, რომ უფრო ადვილი და მოხერხებული იყოს მათი წასვლა, შემოღებულია შემდეგი წესი. მოქალაქენი აძლევენ თხოვნას ორი მან. საღერბო მარკით ადგილობრივ კომისარს. კომისარი თხოვნას თავისი დასკვნით უგზავნის გუბერნიის კომისარს მთხოვნელისვე ხელით.

მილიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ა. უ რ უ შ ა ძ ე.

## სავალდებულო დადგენილება

**ქ. ტფილისის და მისი მიდამოების გენერალ-გუბერნატორისა თანახმად გამოცემულ წესდებისა იმ ადგილზე, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები.**

აეკრძალება ცხოვრება ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროში იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ რაიმე განსაზღვრული სამუშაო და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად არ ითვლებიან.

აღნიშნული პირნი ვალდებულნი არიან ერთი კვირის განმავლობაში დასტოვონ საგენერალ-გუბერნატორო, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრატიულ წესით იქნებიან გაგზავნილნი ხსენებულ საგენერალ-გუბერნატოროდან.

მუშები, რომელთაც ამ ჟამად არა აქვთ სამუშაო, ვალდებული არიან ჩაეწერონ თავიანთ პროფესიონალურ კავშირებში, ან ქალაქის შრომის ბირჟაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათზედაც ვრცელდება ეს სავალდებულო დადგენილება.

ეს დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდვისა.

ქ. ტფილისისა და მისი მიდამოების

**გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი.**

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო ნაწილისგან

(საქონლის გამცვლელ კომიტეტისაგან).

**საქართველოს საზღვრებიდან თუთუნის გატანის წესრიგზე.**

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 16 ნოემბრის დადგენილებისა შემუშავებულია შემდეგი წესრიგი საქართველოს საზღვრებიდან თუთუნის გატანისა: 1. გაზიდვა თუთუნის ნაწარმოებთა, რომლებზედაც გადახდილა სააქციზო ბეგარა, აღმოსავლეთის საზღვრებით აზერბეიჯანში და სამხრეთით სომხეთში შეუძლიანთ თუთუნის მეფაბრიკეთ, რომელთაც დაუბრკოლებლივ მიეცემათ ნებართვა უპირობოთ. ხოლო გაზიდვა თუთუნის ნაწარმოებთა სხვა და სხვა პირთა მიერ, აგრეთვე გაზიდვა სხვა საზღვრებიდან, ექვემდებარება საერთო წესს საქონლის გაცვლისას. 2. გაზიდვა ფოთლობითი თუთუნისა საქართველოს ყველა საზღვრებიდან ხდება მხოლოდ, ჩვენთვის საჭირო, თანასწორი ღირებულების სამაგიერო საქონლის შემოზიდვის პირობით. ნებართვა ფოთლობითი თუთუნის გაზიდვისა მიეცემა ყველა მსურველს, ვინც წარმოადგენს საკმარის საწინდარს, რაიცა უზრუნველჰყოფს სამაგიერო საქონლის შემოტანას. საქონლის გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარე დ. ა ფ ხ ა ზ ი. 1055 1—1.

**მედიცინის დოქტორი**

ბერლინის უნივერსიტეტისა

## ბ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 18—10.

## ექიმი ი. კ. ბაქრაძე

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$— 6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

დაიბეჭდა და იყიდება გიორგი მამრაძის წიგნი:

## საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება.

I **„ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაგიზმი.**

3—2. 1039. ფასი 3 მან. 50 კაპ.

ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.**

**მთავრობის დადგენილება.**

22 ნოემბერი, 1918 წ.

№ 48.

გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ დ ე ს აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი ამა წლის 15 ნოემბრიდან გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

22 ნოემბერი, 1918 წ.

№ 49.

დ ა ი ნ ი შ ნ ო ს აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო სრულ უფლებიან ელჩათ ევროპის ყველა სახელმწიფოებში საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

**საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.**

23 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 46.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: ნაფიც ვექილის თანაშემწე შალვა გრიგოლის ძე ტატიშვილი იუსტიციის მინისტრის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად 1918 წ. ოქტომბრის 9-დან.

23 ნოემბერი, 1918 წ.

№ 47.

დ ა ი ნ ი შ ნ ე ნ მომრიგებელ მოსამართლეებად: პეტროგრადის ოლქის სასამართლოსთან კერძო ვექილად ჩარიცხული პეტრე მიხეილის-ძე ფავლენიშვილი, სოხუმის მომრიგებელი მოსამართლე ნიკოლოზ მიხეილის-ძე პრასოლოვი, სოხუმის ოლქის ოჩემჩირის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ივანე ივანეს-ძე სამოტოი, ყოფილი თავმჯდომარე ესტლანდიის გუბერნიის რეველის უმაღლეს საგლეხო სასამართლოსი ფრიდრიხ ფრიდრიხის ძე რენინგი, გალის სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული კონსტანტინე კირილეს-ძე დარასელია, იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელი ილია მირიანის-ძე ჭყონია, ყოფილი მომრიგებელი მოსამართლე ტობოლსკის გუბერნიის ტიუკალინის მაზრის მეორე უბნისა ევგენი გიორგის-ძე გაბუნია. ფავლენიშვილი—სოხუმის პირველ სამომრიგებლო უბანში, პრასოლოვი—სოხუმის მეორე უბანში, სამოტოი—ოჩემჩირის უბანში, რენინგი—გუდაუთის უბანში, დარასელია—გალის უბანში ჭყონია—გაგრის უბანში და გაბუნია—ოქუმის უბანში.

23 ნოემბერი, 1918 წ.

№ 48.

ჩ ა ი რ ი ც ხ ნ ე ნ იუსტიციის სამინისტროს უწყებაში: გამგე გუდაუთის სამომრიგებლო უბნისა ვლადიმერ იოსების ძე ქიტკოვსკი, გუდაუთის საგამომძიებლო უბნის გამგე ლევ პეტრეს ძე სემიონოვი, ვარშავის მესამე საგამომძიებლო უბნის გამომძიებელი ივანე რომანის-ძე რეეპინსკი, ყოფილი თანაშემწე ბათომის მომრიგებელ მოსამართლისა პეტრე კონსტანტინეს ძე ნოვოსიოლოვი, ქ. ტფილისის მეორე სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ალექსი ივანეს ძე პისარევი, ყოფილი გამგე სურამის საგამომძიებლო უბნისა მიხეილ სერგის ძეუსპენსკი და იგზავნებიან სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლათ: ქიტკოვსკი—სოხუმის პირველ უბანში, სემიონოვი—სოხუმის მეორე უბანში, რეეპისკი—ოჩემჩირის უბანში, ნოვოსიოლოვი—სამურზაყანოს უბანში, პისარევი—გუდაუთის უბანში და უსპენსკი—გაგრის უბანში.

23 ნოემბერი, 1918 წ.

№ 49.

დ ა ი ნ ი შ ნ ე ნ: სოხუმის სამომრიგებლო მომრიგებელ მოსამართლეებად: ნიკოლოზ ყარამანის-ძე თავდგირიძე, პლატონ მიხეილის ძე გელოვანი, ექიმი ვარლამ ალექსანდრეს ძე შარვაშიძე და ექიმი ალექსანდრე ლუკას ძე გრიგოლია.

22 ნოემბერი, 1918 წ.

№ 50.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა ს: ვასილ ეფრემის ძე ძინძიბაძე სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის აღსასრულებლად 1918 წ. დეკემბრის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი

შ. ა ლ ე ქ ს ი-მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი.

**საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

13 ნოემბერი, 1918 წ.

№ 84.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის სამრეწველო განყოფილების უფროსად ინჟინერი მ. მ. ბრაილოვსკი.

ამავე სამინისტროს სამრეწველო განყოფილების საქმის მწარმოებლებად ინჟენრები ვ. ქ. გუნცაძედა ნ. ი. ბრაგინსკი.

სამინისტროს განსაკუთრებულ მინდობილებათა ინჟენრად—ნ. ი. პოლისადოვი. ყველანი ამა წლის 14 ივნისიდან.

13 ნოემბერი, 1918 წ.

№ 85.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: ტფილისის სააქციზო სამმართველოს ბუჰალტერი კონსტანტინე ივანეს ძე სანოვი ქუთაისის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ქ. ქუთაისში ამა წლის 10 ნოემბრიდან.

20 ნოემბერი, 1918 წ.

№ 87.

გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ქ ნ ა ს: ტფილისის სააქციზო სამმართველოს მოხელეთა შტატიდან სიღნაღის მაზრის აქციზის ინსპექტორი ვ. ?პ. ინაშვილი—ბელსკი მის სიკვდილის გამო ამა წლის 23 ნოემბრიდან.

20 ნოემბერი, 1918 წ.

№ 326.

კავკასიის დამზღვევ და სატრანსპორტო საზოგადოების დაამარსებელთა შუამდგომლობის გამო, ამიერ კავკასიის მთავრობის მიერ 27 მაისს 1918 წ. დამტკიცებული ხსენებული საზოგადოების წესდების მე-12 § შეიცვალა: ძირითადი თანხა ამ საზოგადოებისა 4 მილ. მანეთიდან მცირდება 2 მილ. მანეთამდე (20000 აქცია—თითო 100 მ.) ისე რომ 50% აქციების დადებულ ფასისა, ე. ი. 1.000.000 მ. უნდა შეტანილ იქნეს სახელმწიფო ბანკში 27 ნოემბრისთვის; ამ დღიდან საზოგადოების მოქმედების დაწყება ნება დართულია.

20 ნოემბერი, 1918 წ.

№ 88.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ საქონლის გამცვლელ კომიტეტის საქმის მწარმოებლათ გიორგი კირილეს ძე იოსელიანი და ამავე კომიტეტის ბუჰალტრათ ბესარიონ ლევანის ძე ჯაიანი ამა წლის 20 ნოემბრიდან.

23 ნოემბერი, 1918 წ.

№ 90.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის პირდაპირი გადასახადების მცირე განყოფილების გამგის თანაშემწე ივანე დომენტის ძე რამინიშვილი შორაპნის მაზრის მეორე რაიონის გადასახადის ინსპექტორად ამა წლის 15 ნოემბრიდან.

23 ნოემბერი, 1918 წ.

№ 91.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ტფილისის სახაზინო პალატის მე-4 განყოფილების უფროსად ამავე პალატის მე-2 განყოფილების უფროსი იზიუმსკი, ხოლო ამ უკანასკნელის მაგივრად მე-2 განყოფილების უფროსად დუშეთის მაზრის გადასახადთა ინსპექტორი კეზელი.

დუშეთის მაზრის გადასახადთა ინსპექტორად ტფილისის მე-3 ნაწილის გადასახადთა ინსპექტორის უფროსი თანაშემწე კასრაძე, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე სახაზინო პალატის საქმის მწარმოებლის თანაშემწე აკოფაშვილი. ბორჩალოს მაზრის გადასახადთა ინსპექტორად ყოფილი ყარსის ოლქის გადასახადთა ინსპექტორი გეპნერი ამა წლის 20 ნოემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის -იე ნისტრი გ. ჟ უ რ უ ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში.

**კრედიტი.**

გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს 10 მილიონ ფონდიდან 500,000 მან. ყრილობათა სუბსიდიის სახით დახმარებისათვის.

—

გაეხსნას განათლების მინისტრს ათ მილ. ფონდიდან 100,000 მანეთის კრედიტი სოჭის ოლქის სახალხო სკოლების შენახვისათვის.

**დანიშვნა.**

საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნოს ნაფიცი ვექილი ივანე ჯაფარიძე.

**თერგის ოლქის ქართველები.**

მიენდო გარეშე საქმეთა მინისტრს მიიღოს შესაფერი ზომები თერგის ოლქის ქართველთა ინტერესების დასაცავათ.

**სახალხო გვარდიის ხარჯი.**

გაიხსნას სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს 10 მილიონიან ფონდიდან 1.500,000 მანეთის კრედიტი ავანსის სახით ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში.

**საგენერალ-გუბერნატოროს ხარჯი.**

გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში ათ მილიონიან ფონდიდან 30000 მანეთი ტფილისის საგენერალ-გუბერნატოროს შესანახად.

**სახელმწიფო ღერბი.**

1) სახელმწიფო ღერბის შესახებ წარმოდგენილ პროექტებში ყველაზე უფრო მოწონებულ იქმნას ღერბის პროექტი დევიზით „წინ“, 2) ეს პროექტი უნდა შესწორდეს: უნდა დაცულ იქმნას სიმეტრია, ცხენის ფეხები ცოტა უფრო მომსხო უნდა იქმნეს, თვით ცხენის ფეხი სრულიად თეთრი უნდა დარჩეს, მნათობები შვიდი უნდა იქნას; 3) მოწონებულ იქნას სავსებით იმავე ავტორის შტანდარტისა და სამხედრო დროშის ნიმუშები; 4) ყველა ეს ეცნობოს ავტორს, რომელიც კონვერტის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა ოსიპ შარლემანი (ფრანგი).

**საარჩევნო კანონ-პროექტები.**

მოწონებულ იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი ქალაქების საარჩევნო კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისათვის შემუშავებული ნორმების მიხედვით და ამ სახით გადაეცეს პარლამენტს; ტფილისის ქალაქის ხმოსანთა რიცხვი უნდა იყოს 90.

**მედიკურ-სანიტარული ნივთები.**

მედიკურ-სანიტარული ნივთები პირველ მოთხოვნილებისამებრ უნდა მიაწოდოს მომარაგების კომიტეტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერობებისათვის დასარიგებლად და გადაცემული მედიკამენტები შეიტანოს ერობათა კრედიტში.

# გზათა სამინისტროში.

**რკინის გზის არტელი.**

მთავარ კასაში დროებით ფულის აპერაციის მწარმოებელ ჯგუფმა შემდეგი განცხადება წარუდგინა გზათა საერთო საქმის უფროსს: „დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ყოფილ მთავარი რკინის გზის კომიტეტმა სცნო საჭიროთ როგორც არა საიმედო პირნი ყოფილი იაროსლავის არტელი გადაეყენებინა და მათ ნაცვლად მოვალეობის ასასრულებლათ ჩვენ მოგვიწვიეს. რკინის გზის სხვა და სხვა დარგის მოხელენი ამ მოწოდებას ჩვენ შევხვდით გულწრფელათ და დღემდე ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას პირნათლათ, რაც დაგვავალა ჩვენ ისტორიულმა მოვალეობამ და გვაქვს მასთანავე სურვილი დავრჩეთ შემდეგშიაც ამავე თანამდებობაზე, როგორც მთავრ კასაში, ისე ლიანდაგზე, თუ რომ საჭიროთ და სასრგებლოთ სცნობთ“. ეს განცხადება გაეგზავნა რკინის გზის უფროსს აზრის გამოსათქმელათ.

**უფასო ბილეთები.**

რკინის გზის უფროსმა ინჟ. კანდელაკმა განმარტება მისცა გზის ლიანდაგის უფროსთა სახელზე, რომ სეზონის ბილეთები და ბილეთი-სურათით უნდა ეძლეოდეს მხოლოდ თვით მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს სახელდობრ: მეუღლეს, დედას, შვილებს და მცირეწლოვანთა 14 წლამდე, ძიძას. რაც შეეხება სასურსათო ბილეთებს, ეს ბილეთები შეიძლება მიეცეთ აგრეთვე მოსამსახურეებსაც, ხოლო მოწმობის წარდგენით, რომ ეს პირი მასთან მსახურებს მიუხედავათ ნათესაურ დამოკიდებულებისა.

**მექრთამეობა.**

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის უფროსმა ინჟ. კანდელაკმა დაუგზავნა ბრძანება ლიანდაგის უფროსთ, რომლითაც უკანასკნელათ აფრთხილებს სასტიკი ყურადღება მიაქციონ თავის ხელქვეით მსახურთ, რომ მექრთამეობისათვის, სახაზინო ნივთების მითვისებისათვის და თვით სამსახურში ცუღლუტობისათვის მოსამსახურენი ფიცხლავ დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან და მათზე აღიძვრება შუამდგომლობა, რომ უკან აღარ იქმნენ მიღებულნი სამსახურში და თვით უფროსნიც, რომელნიც ამ განკარგულებას არ შეასრულებენ ისინაც დასჯილ იქნებიან. ეს განკარგულება უნდა გამოკრულ იქმნას გზათა უფროსის ბრძანებით გამოსაჩენ ადგილზე.

# მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**რეორგანიზაცია.**

ცენტრალ საადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომარემ წარუდგინა მიწათ-მოქმედების მინისტრს მოხსენება ამ გამგეობის ძირითად რეორგანიზაციის შესახებ. განზრახულ პროექტით ეს გამგეობა შეერთებულ უნდა იქმნეს მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოსთან, ხოლო დანარჩენი განყოფილებანი ამ გამგეობისა—სატყეო, საძოვარი, აგრარული რეფორმების ნაციონალურ ქონების მადნეულ წყაროთა და საავარაკო უნდა დარჩნენ ცალკე მთლიან დამოუკიდებელ დაწესებულებებათ და შევლენ სამინისტროში დეპარტამენტების სახით.

**სამთო ნაწილი.**

მთავარ რწმუნებულმა სამთო გამგეობისა ინჟ. ყიფშიძემ მოხსენება წარუდგინა მიწათ-მოქმედების მინისტრს სამთო ნაწილის ახალ ორგანიზაციის შესახებ. თანახმათ მოხსენებისა ეს ნაწილი სამთო გამგეობასთან უნდა იქმნეს შეერთებული, სადაც შევლენ წარმომადგენელნი მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

# საგენერალ - გუბერნატოროში

**გადასახლება.**

ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით 3 დღის განმავლობაში უნდა გაგზავნილ იქმნეს: 1) ექიმი კიკალიშვილი—ქ. ოზურგეთში მილიციის ზედამხედველობის ქვეშ. 2) მიხეილ ცხაკაია—რესპუბლიკის საზღვრებიდან, 3) ოფიცერი ა. თოფურიძე ტფ. საგენერალ—გუბერნატოროდან პაგონების აყრით, 4) ფანიაშვილი—საგენერალ-გუბერნატოროდან, 5) არშაკ აკობბეკოვი—რესპუბლიკის საზღვრებიდან, 6) ნაზარევიჩი—მიხეილ სერგეის ძე—საგენერალ გუბერნატოროდან თუ იგი საქართველოს ქვეშევრდომი არ არის, 7) სტეფან ალავერდოვი—რესპუბლიკის საზღვრებიდან და 8) ისაი სოსიანცი ციხეში დაპატიმრებით.

**სავალდებულო დადგენილება.**

გამოიცა ახალი სავალდებულო დადგენილება იმ პირთა შესახებ, რომელთაც არავითარი ხელობა არა აქვთ განსაზღვრული და საქართველოს ქვეშევრდომები არ არიან.

# ე რ ო ბ ა

**თათბირი ერობის შესახებ**

21 და 22 ნოემბერს, შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ვ. რამიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი ერობის შესახებ. თათბირს დაესწრნენ მინისტრის ამხანაგები კ. ბ. საბახტარაშვილი და გ. თ. მახარაძე. წარმომადგენელნი სამინისტროების: შინაგან საქმეთა და ფინანსთა და აგრეთვე სამინისტროს ყველა ხელქვეით დაწესებულებათა უფროსნი. კრებასავე დაესწრნენ სამაზრო გამგეობათა წარმომადგენელნი ოზურგეთის, გორის, შორაპნის, სენაკის, ქუთაისის, სამტრედიის, რაჭის, ზუგდიდის, ადლერის და სხვა. თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი: 1) საერობო და საფოსტო გზების გაკეთების შესახებ მცხოვრებთა დახმარებით; 2) საგუბერნიო დაწესებულებათა დაშლასთან დაკავშირებულ საერობო დაწესებულებათა დებულების შეცვლა-დამატების შესახებ; 3) ერობათა ბიუჯეტის შესახებ; 4) ქონების დაწესებულებათა და საჭირო კრედიტის გადაცემის შესახებ ერობის ხელში; 5) საერობო მედიკო-სანიტარულ დაწსებულებათა დაარსების შესახებ, 6) რესპუბლიკის ტერიტორიის ახალ ადმინისტრატიულ საერობო ერთეულობაზე დაყოფის შესახებ, 7) წვრილ-საერობო ერთეულის და სასოფლო საერობო გადასახადის შემკრებელთა შესახებ, 8) საეროპო სტატისტიკის შესახებ, 9) საერობო კოოპერატივების, სურსათის და თავისუფალ ვაჭრობის მოწყობის შესახებ და 10) საერობო მოღვაწეთა ყრილობის მოწვევის შესახებ.

უმეტესი ნაწილი მოხსენებათა, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათისა გადაწყდა გადაეცეს განსახილველათ მომავალ ერობათა წარმომადგენელთა ყრილობას, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს დეკემბრის გასულს ან იანვრის პირველ რიცხვებში ქ. ტფილისში, ამასთან ერთათ ყრილობამ გამოსთქვა სურვილი რომ: 1) ყველა დაწესებულებანი, რომელიც კი ამიერ-კავკასიის ერობის ხარჯზე ინახებოდა, დაუყოვნებლივ გადაეცეს ერობებს და ამათვე გადაეცეს ის კრედიტები, რომელნიც ამ დაწესებულებებისთვის იყო გადადებული 2) მომავალ ერთ დროულ სამიწადმფლობელო განზრახულ გადასახადისაგან გადადებულ იქმნას ერობის სასარგებლოთ 30 პროცენტი 3) მთავრობის მიერ ერობათა, სესხი გადიდებულ იქმნეს 6 მილიონამდე 4) კანონმდებლობითი გზითი გამოცემულ იქმნას საგანგებო დადგენილება, რომლითაც ექიმები კერძო პრაქტიკის მწარმოებნი აიძულონ ეპიდემიასთან საბრძოლველათ გასვლაზე 5) მოიწვიონ სოფლის მცხოვრებნი გზების საკეთებლათ 6) აღიარებულ იქნას წვრილ საერობო ერთეულათ სოფლის საზოგადოება, დაარსდეს საერობო ხარჯების ამკრების თანამდებობა, რომელსაც ჯამაგირი უნდა მიეცეს სამაზრო ერობის თანხიდან დროებითი მთავრობის კანონის მიხედვით. 7) საერობო დაწესებულებათა გახსნისათანავე დაიწყოს სწორათ დაყენებული სტატისტიკის წარმოება. 8) მთელი სამაზრო მილიციის გამგებლობა გადაეცეს ერობებს. 9) სასურსათო საქმე მთელი ქონებით, რომელიც დარჩება სასურსათო გამგეობების ლიკვიდაციის შემდევ და მათთვის გაცემული კრედიტები გადაეცეს ერობას, 10) კოოპერატივების შესახებ კანონ-პროექტები არ უნდა დამტკიცდეს სანამ ერობათა ყრილობაზე მას არ განიხილავენ, 11) გაუქმდეს საგუბერნიო დაწესებულება, 12) იმ ორგანოთ, რომელიც შეაერთებს სამაზრო საერობო დაწესებულებებს უნდა იქნეს ცენტრალური საერობო გამგეობა, რომელიც მმართველობის წესით შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარება,

# კანონ-პროექტი

ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებსა, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებსა და საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში მოსამსახურე პირთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

1. ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისა, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში და საოსტატო ინსტიტუტების და სემინარიების არსებულ შტატების ნაცვლად დაწესდეს შემდეგი ახალი შტატები.

1. გიმნაზიის, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებისა და საოსტატო ინსტიტუტების და სემინარიების დირექტორს აქვს არა უმეტეს ექვსი გაკვეთილისა კვირაში; გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის ინპექტორს, აგრეთვე ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს და უფროს ქალს აქვს არა უმეტეს თორმეტი გაკვეთილისა კვირაში.

2. აღნიშნულ თანამდებობის პირთ წლიურ გაკვეთილში ეძლევათ 350 მან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ უფროსი ქალი საშუალო განათლებისაა, გაკვეთილში ეძლევა 280 მან წლიურათ.

3. დირექტორს—თანამდებობისათვის ეძლევა 6.900 მან. და ბინა, ან, თუ უკანასკნელი სასწავლებელთან არაა, ფულად 2.400 მ. და უფლება სამ ხუთწლიან დამატებისა, 600 მ. თვითოეული. ინსპექტორს, ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს და უფროს ქალს, თუ უკანასკნელი უმაღლესი განათლებითაა, თანამდებობისათვის ეძლევათ 4.800 მ. და ბინა, ან, თუ ბინა არ არის, ფულად 1.800 მ. და უფლება სამ ხუთწლიან დამატებისა 600 მან. თვითოეული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ უფროსი ქალი საშუალო განათლებითაა, თანამდებობისათვის ეძლევა

3.860 მ. და ბინა, ან ფულად 1.800 მ. და. უფლება სამ ხუთწლიან დამატებისა 500 მან. თვითოეული.

4. თუ სასწავლებელში პარალელური განყოფილებებია, დირექტორს, ინპექტორს, ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს, აგრეთვე უფროს ქალს, თვითოეული განყოფილებისათვის ეძლევათ განსაკუთრებული ჯილდო: დირექტორის 120 მან., ხოლო ინსპექტორს, ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს და უფროს ქალს 100 მან. წლიურად.

5. საგნებისა და ენების შტატის მასწავლებელთ, უმაღლესის განათლებით, თორმეტ ძირითად გაკვეთილში ეძლევათ 4800 მან. და უფლება სამ ხუთწლიან დამატებისა, 600 მან. თითოეული: დამატებითს თორმეტს ზევით, გაკვეთილებში 350 მ. თითოეულში.

6. საგნებისა და ენების შტატის მასწავლებელთ, რომელთაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ, თორმეტ ძირითად გაკვეთილში ეძლევათ წლიურად 3,860 მან. და უფლება სამ ხუთწლიან დამატებისა 500 მან. თითოეული. დამატებითს, თორმეტ ზევით, გაკვეთილებში 280 მან. თითოეულში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: წერით სავარჯიშოთა გასასწორებლად მასწავლებელთ ეძლევათ 300 მან. წლიურად თითოეულ კლასზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: ფიზიკურ და ბუნებისმეტყველების კაბინეთების გამგეობისათვის და „ცდებისა“ და პრაქტიკულ მეცადინეობათა საწარმოებლად ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებაში მასწავლებელთ ეძლევათ თითოეულს 300 მან. წლიურად თითო კლასზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3: პედაგოგიურ საბჭოს მდივნობისათვის, ბიბლიოთეკის გამგეობისათვის მასწავლებელთ ეძლევათ ექვსას-ექვსასი მანეთი წლიურად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 4: თუ მასწავლებელი ავადმყოფობისა ან სხვა რაიმე მიზეზების გამო სასწავლებელში არაა, მის მაგიერ მიცემულ გაკვეთილში ეძლევათ: უმაღლესად განათლებულთ 7 მ. 29 კ. თვითოეულ გაკვეთილში (1350 მ. კვალობაზე წლიურად) და 5 მ. 83 კ. არა უმაღლესად განათლებულთ (280 მ. კვალობაზე წლიურად).

7. მესამე და მეოთხე მუხლ. აღნიშნულ გაკვეთილთა რიცხვი, რომელიც მასწავლებელთ აქვთ ერთსა ან რამდენსამე სასწავლებელში, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში ოცდა ოთხს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დროებით, სამი წლის განმავლობაში დღიდან ამ კანონის შემოღებისა, თუ საჭიროება მოითხოვს, ამ მუხლშა (5) აღნიშნული რაოდენობა გაკვეთილებისა შეიძლება გადიდდეს მხოლოდ ყოველ კერძო შემთხვევაში, სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით.

8. ხატვისა, სუფთა წერისა, გალობისა დი ხელსაქმის მასწავლებელს გიმნაზიებსა, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში, საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში ენიჭებათ უფლება, დაიმსახურონ სამი ხუთწლიანი დამატება 600 მ. და 500 მ. თვითოეული, იმისდა მიხედვით, თუ რა განათლებითაა მასწავლებელი.

9. რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში და საოსტატო სემინარიებში სუფთა წერის მასწავლებელი, იმისდა მიხედვით თუ რა განათლებისაა, თვითვეულ წლიურ გაკვეთილში იღებს 350 ან 280 მან.

10. ხატვისა და ხაზვის მასწავლებლები რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში, საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში, რომელთაც მიუღიათ უმაღლესი სპეციალური განათლება, ჯამაგირით გათანასწორებულნი არიან ამ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნულ მასწავლებლებთან და თვითოეულ წლიურს დამატებით გაკვეთილში იღებენ 350 მ. რეალურ და საკომერციო სასწავლებლის, საოსტატო ინსტიტუტებისა და სემინარიების ხატვისა და ხაზვის მასწავლებლებს, რომელთაც არ მიუღიათ სპეციალური განათლება, ეძლევათ ამ კანონის მე-4 მუხლში მასწავლებელთათვის აღნიშნული ჯამაგირი.

11. გიმნაზიებსა, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში და საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში ყველა საგნის მასწავლებლად შესაძლოა მოწვეულ იქმნას ქირით მასწავლებელი იმ პირობით კი, თუ ამ უკანასკნელს ისეთი განათლება აქვს მიღებული როგორც იმავე საგნების შტატის მასწავლებელს. ქირით მოწვეული მასწავლებლები ღებულობენ გაკვეთილების მიხედვით ისეთ ჯილდოს, როგორიც დაწესებულია შესაფერ შტატის მასწავლებელთა დამატებით გაკვეთილებისათვის.

12. მასწავლებელთა შტატ გარეშე სამსახური, შტატის თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ, ჩაითვლება ხუთწლიან დამატებისა და პენსიის მისაღებად.

13. იმ პირთ, რომელთაც შეუძენიათ უფლება საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების ან საშინაო დამრიგებლისა, ან ახალი ენებისა მასწავლებლობისა, ნება ეძლევათ ასწავლონ ეს ენები საშუალო სასწავლებების ყველა კლასში. ამ მასწავლებელთა ჯამაგირი იგივეა, რაც საშუალო განათლებით აღჭურვილ მასწავლებელთა.

14. მოსამზადებელი კლასების მასწავლებელი ჯამაგირისა და დამატებითი გაკვეთილებისათვის ჯილდოს მხრივ გათანასწორებულია სხვა კლასების იმ მასწავლებელთან, რომელსაც უმაღლესი განათლება არ მიუღია.

15. კლასის დამრიგებლის თანაშემწეს და საქმის მწარმოებელს გიმნაზიისა, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში, თანამდებობისათვის ეძლევა 5.400 მან. და უფლება სამ ხუთწლიან დამატებისა, 400 მ. თვითოეული.

16. თვითოეულ კლასისათვის დაწესებულია თითო კლასის დამრიგებელი და თუ ეს შეუძლებელია, ორ კლასში—ერთი; უკანასკნელ შემთხვევაში კლასის დამრიგებელი ღებულობს მასწავლებლის ჯამაგირის გარდა, 4.200 მან. ჯილდოს წლიურათ იმ აუცილებელის პირობით, რომ მას ექნება არა უმეტეს თორმეტი გაკვეთილისა. კლასის დამრიგებელი, რომელსაც ერთი კლასი აქვს ჩაბარებული, მასწავლებლის ჯამაგირის გარდა ღებულობს წელიწადში 2.100 მ. და უფლება აქვს აძლიოს არა უმეტეს თვრამეტი გაკვეთილისა. კლასის დამრიგებლებათ არ შეიძლება გამწესებულ იქმნან გიმნაზიების, რეალურ და საკომერციო სასწავლებლების და საოსტატო ინსტიტუტების და სემინარიების დირექტორები, ინსპექტორები და ინსპაკტორების თანამდებობის აღმასრულებელნი და უფროსი ქალები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა I: დროებით, სამი წლის განმავლობაში, ქალთა გიმნაზიებში რჩება არსებული ინსტიტუტი კლასის დამრიგებელთა, რომელთაც ჯამაგირი აქვთ 4.300 მ. თვითოეულს და სამი ხუთწლიანი დამატება, განათლების ცენზის მიხედვით. თუ კლასის დამრიგებელთ აქვთ გაკვეთილები (არა უმეტეს ექვსისა)—თვითოეულ გაკვეთილში ღებულობენ დამატებით ჯილდოს, განათლების ცენზის მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: კლასის დამრიგებელთ არა აქვთ უფლება აიღონ გაკვეთილები სხვა სასწავლებლებში.

17. არა უმაღლესი განათლებით აღჭურვილ მასწავლებელთ, რომელნიც ამ კანონის შემოღებისას მსახურობენ გიმნაზიებში, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში და საოსტატო ინსტიტუტებში და სემინარიებში და უფლება აქვთ ყველა კლასში მასწავლებლობისა, ენიშნებათ ისეთივე ჯამაგირი, დამატება და ჯილდო დამატებითი გაკვეთილებისათვის, როგორიც უმაღლესა განათლებით აღჭურვილთ ეძლევათ.

18. გიმნაზიებისა, რეალურ და საკომერციო სასწავლებლების საოსტატო ინსტიტუტებისა და სემინარიების უფლებიან მასწავლებელთ, თუ ისინი წინად მსახურებდნენ სამეცნიერო ან სასწავლო ასპარეზზედ, აგრეთვე მასწავლებლობდნენ პირველ დაწყებით სასწავლებლებში სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში, ან სახელმწიფო და სხვა თანაბარ უფლებიან სასწავლებლებში, ჩაეთვლებათ ხუთ წლიანი დამატების მისაღებად ყველა ის წლები, რომელიც უმსახურნიათ სამეცნიერო და სასწავლო ასპარეზზედ და აგრეთვე მასწავლებლებად პირველ დაწყებით სასწავლებლებში.

19. დადგენილი შტატებისა და კანონდებულების მოქმედება გავრცელებულ იქმნას იმ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებზე, რომლებიც ინახებიან ხაზინის ხარჯით, და აგრეთვე ერობებისა და ქალაქების თანხებით. აღნიშნულ ზომებით გამოწვეული ხარჯი დაიფაროს სახელმწიფო ხაზინის საშუალებიდან.

20. სახელმწიფოს მოსამსახურენი, რომელთაც უჭირავთ შტატის თანამდებობანი, სამსახურის დროს პენსიას არ ღებულობენ.

21. დადგენილ იქმნას, რომ იმ პირთ, რომელნიც დაინიშნებიან სამსახურში გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში და საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში, ნება ეძლევათ წინდაწინ მიეცეთ ჯამაგირის მესამედი, ხოლო შემდეგ გამოერიცხოს წესდების კანონ. კრებ., ტომ. 3, გამოც. 1896 წ. 216 და 217 მუხლების თანახმად.

22. ის პირები, რომელნიც შტატების შემოღებისას არ მიიღებენ ახალს დანიშნულებას, საერთო წესით შტატ გარეშე უნდა დარჩნენ.

23. მოსამსახურეთა შვილები და აგრეთვე შვილები იმ პირებისა, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ათი წლისა გიმნაზიებში, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში, საოსტატო ინსტიტუტებში და სემინარიებში, სახალხო სკოლებში, სასწავლო აღმზრდელობით ნაწილში ან სჭერიათ თანამდებობანი ექიმისა და საქმის მწარმოებლისა, განთავისუფლებულ იქმნან სწავლის ფულის შემოტანისაგან სახელმწიფო ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში, რეალურ და საკომერციო სასწავლებლებში და საოსტატო ინსტიტუტებსა და სემინარიებში.

24. ამ კანონის ძალაში შესვლისთანავე გაქუმდეს მოქმედება ყველა კანონისა სხვა და სხვა პრივილეგიათა და დამატებით ჯილდოთა შესახებ.

25. ეს კანონი ძალაში უნდა შევიდეს 1918 წლის 1 სექტემბრიდან.

## გერმანული პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

### აღმ. კომ. და სახალხო კომისართა საბჭოს რეზოლიუცია.

დეპუტატების საბჭოს აღმსრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: რევოლიუციამ შექმნა ახალი საკონსტიტუციო კანონები. ამ გარდამავალ ხანაში ახალი კანონმდებლობა გამოიხატა შემდეგ შეთანხმებაში მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის: 1) პოლიტიკური ძალა-უფლება გერმანიის სოციალისტურ რესპუბლიკის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების ხელშია. მათი მიზანია დაიცვონ რევოლიუცია და გაიღრმაონ იმდენათ, რომ კონტრ-რევოლიუცია შესაძლებელი არ იყოს. 2) ვიდრე მუშათა და ჯარის-კაცთა დელეგატების საბჭოს ყრილობა არ აირჩევს რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ კომიტეტს, ბერლინის აღმასრულებელი კომიტეტი ასრულებს გერმანიის რესპუბლიკის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს ფუნქციებს, ბერლინის და ახლო-მახლო არსებულ მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოებთან სრული შეთანხმებით. 3) სახალხო კომისართა საბჭოების ბერლინის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების მიერ დამტკიცება ნიშნავს რესპუბლიკის აღმასრულებელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. 4) რესპუბლიკის კაბინეთის წევრთა დამტკიცება, გაძევება და ნაციონალურ დამოკიდებულებათა მოწეს-რიგება უნდა მოახდინოს ცენტ. აღმ. საბჭომ, რომელსაც აგრეთვე კანტროლის უფლებები აქვს. 5) საბჭოს აზრს უნდა გაუწიონ ანგარიში სპეციალურ მინისტრების დანიშვნის დროს. მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს დელეგატთა ნაციონალური კრება რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს.

## ინგლისური პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

### ელზას-ლოტრენის ოკუპაცია,

ლიონი, 24 ნოემბერი. ელზას-ლოტრენის სრული ოკუპაცია თავდება.

### სარის ველზე.

ჩვენი ჯარი გუშინ დაბანაკდა სარის ველზე, სახელდობრ: საბრუკში, სარლუიში და აღმოსავლეთით: ვერტში, ფროშვალერში, რეისჰოფენში და ბიშვეილერში.

### ჰინდენბურგის დეპეშა.

ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა ჰინდენბურგის დეპეშა, რომ გერმანიის ჯარს აღარ შეუძლიან განაახლოს ომი საფრანგეთის ჯართან.

### სოლფის პროტესტი.

დ-რ. სოლფმა გამოაქვეყნა პროტესტი სარის მარჯვენა ნაპირის დაჭერის გამო.

## ცნობა მოსკოვიდან.

(საქ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

### ფრანგები ბუდაპეშტში.

ბუდაპეშტში შევიდა 11100 ფრანგი ჯარისკაცი.

### იტალიელები ინსბურგში.

ინსბურგი იტალიელებმა დაიჭირეს.

### რუმინიის ნაციონალური საბჭოს პროტესტი.

რუმინიის ნაციონალურმა საბჭომ მოკავშირე სახელმწიფოებს და ჩიჩერინს პროტესტით მიმართა სერბიის ჯარის ბანატში შესვლის, ამ ადგილის ძალით შემოერთების და რუმინიის სოფლის სერბიის ერთგულებაზე ძალით დაფიცების გამო. საბჭო ითხოვს გავლენა იქონიონ სერბიის მთავრობაზე, რომ მან უარი სთქვას ამ ადგილის მითვისებაზე და მისცეს საშუალება რუმინიის მცხოვრებთ თავისი ბედი თითონ გადასწყვიტონ.

### ბერლინის საბჭოს აღმ. კომ. განცხადება დროებითი ზავის შესახებ.

ბერლინის საბჭოს აღმ. კომ. აცხადებს, რომ საფრანგეთის მილიტარისტები დროებითი პირობებს უყურებენ როგორც ომის გაგრძელების საშუალებას. გერმანიის მთავრობა ამის გამო იძულებული იქნება უბრძანოს ჯარს მოერიდოს საფრანგეთის ჯართან შეტაკებას, იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მოკავშირეთა ჯარი სროლას დაუწყებს გერმანელებს. საფრანგეთის გენერლები ათასგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ნაკლი მოუძებნონ გერმანელებს ტერიტორიის დაცლის საქმეში. მოითხოვენ სამხედრო მასალის და ორთქმავლების და ვაგონების გადაცემას. გერმანიის მთავრობამ ან უნდა გადასცეს მათ ყველაფერი ის, რასაც მოითხოვენ, და ამით კატასტროფის და შიმშილის წინ დააყენოს გერმანიის ხალხი, ან და დროებით გადასდოს ამ მოთხოვნილებათა სისრულეში მოყვანა და ამით გერმანიის ხალხს შეუმსუბუქოს მდგომარეობა.

### გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა მოკავშირეთადმი.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ნოტით მიმართა მოკავშირეთ: „გერმანიის ხალხმა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მიერ აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობილმა, სთხოვა ვილსონს შუამდგომლობა დროებითი ზავის ჩამოგდების დროს. მაგრამ დროებითი ზავის მაგიერ, ჩვენ განადგურებით დაგვემუქრენ. ვეჭობთ, რომ დროებითი ზავის პირობებმა ზავამდე მიგვიყვანოს. ის გვაიძულებს განვაგძოთ ომი სხვა საშუალებით. იმის მაგიერ, რომ აღვადგინოთ გერმანიაში წესიერება და სიმშვიდე და მოვახდინოთ დემობილიზაცია, დროებითი ზავის პირობები გამოიწვევს ანარქიას და ქაოსს.

ჩვენს პროტესტებს ყურადღებას არ აქცევენ. თუ დროებითი ზავის პირობებით სურთ დააძლურონ გერმანია, რომ მას არ შეეძლოს ომის გაგრძელება მოკავშირენი უნდა მიხვდნენ, რომ გერმანიის ხალხს სრულიადაც არ სურს და არც შეუძლიან ომის გაგრძელება. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ მოკავშირენი ხელმძღვანელობენ გერმანიის ხალხის განადგურების სურვილით. დროებითი ზავის ჩამოგდებისთანავე გერმანიის მთავრობამ ვილსონს მიმართა თხოვნით რაც შეიძლება მალე დაიწყონ საზავო მოლაპარაკება, მაგრამ პასუხი გერმანიის მთავრობას არ მიუღია. გერმანიის ხალხს დარჩენია იფიქროს, რომ მოკავშირენი ეძებენ მიზეზს განაგრძონ ომი, როცა დაქანცულ გერმანელ ჯარისკაცთაგან შეუძლებელ პირობის აღსრულებას მოითხოვენ. ვილსონი ამბობს, ზავი უნდა იყოს დამყარებული უფლებაზე, ამიტომ სამშვიდობო კონფერენციამდე არ შეიძლება სადავო კითხვების გადაწყვეტა, მაგრამ გერმანიის მთავრობა აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ფრანგები ელზას-ლოტრენში და პოლონელები აღმოსავლეთში დამოუკიდებლათ სწყვეტენ ყველა რთულ საკითხებს: გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს საზავო მოლაპარაკების დაგვიანების გამო. დროებით შეიძლება ძალა იხმარონ გერმანიის ხალხზე, მაგრამ ის მაინც არ შესწყვეტს არსებობას და თავისუფლების დაცვას. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს დროებითი ზავის პირობების დარღვევის გამო, რომ მოკავშირეთა ჯარი 10 კილომ. უფრო ახლო მოსდევს გერმანიის ჯარს და მოითხოვს გაანთავისუფლონ გერმანიის ჯარის დაკავებული ნაწილები.

### საზღვრების დაკეტვის შესახებ

ინგლისის მთავრობა ადგენს პროექტს საზღვრების დაკეტვის შესახებ ყველა უცხოელისთვის. გერმანელებს სრულიად არ ექნებათ ინგლისში შესვლის უფლება.

### ინგლისის პარლამენტში

შეთანხმების პარტიის 8 წევრმა, რომელნიც თავის თავს ინგლისის პარლამენტში მუშების წარმომადგენელად სთვლიან, განაცხადეს, რომ ისინი პარლამენტში რჩებიან.

### ადმირ. ვიტტი და გერმანის მთავრობა

ადმირალმა ვიტტიმ უარი განაცხადა საბჭოთა გერმანიის წარმომადგენელთან მოლაპარაკებაზე, რადგან არ ცნობს მათ მთავრობას.

## ქალაქის საბჭოში.

ორშაბათს, 25 ნოემბერს, ა. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს მორიგი კრება შესდგა.

საბჭოს მდივანმა ვ. თ. ხახანაშვილმა, როგორც საბჭოს ხმოსნების ახალ არჩევნების მოსამზადებელი კომისიის წევრმა, მოახსენა საბჭოს ამ კომისიის მუშაობისა და მის მიერ რამდენიმე საკითხის გადაწყვეტის შესახებ.

ქალაქის მოურავმა ნ. ზ. ელიავამ ამ მოხსენების შესახებ საბჭოს მოახსენა, რომ კომისიის ყველა დადგენილება ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა გარდა ერთი საკითხისა, გამგეობა არ დაკმაყოფილდა კომისიის გადაწყვეტილებით, რომ არჩევნების სია მარტო ქართულ და რუსულ ენაზე იყოს დაბეჭდილი და საჭიროთ მიაჩნია, რომ ეს სიები დაბეჭდილ იყოს აგრეთვე სომხურ ენაზედაც, თუმც ეს

გამოიწვევს ტეხნიკურ გაძნელებას დ შესაძლოა არჩევნების მოხდენის დაგვიანებას დ აგრეთვე ამ გაჭირვებაში 50—60 ათასი მან. მეტის დახარჯვას, მაგრამ ტფილისში სომხები მაინც 30—40% შეადგენენ და მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ეს წინათ ხარჯთ-აღრიცხვა არჩევნების მოსახდენად ნაანგარიშევი იყო 235 ათასი მანეთი, ეხლა კი ეს ფული საკმაო აღარ იქნება, რადგანაც გამგეობას იმედი აქვს, რომ ნახევარ ხარჯს მთავრობა იკისრებს და ამის მიხედვით საბჭომ გადასდო 120 ათასი მან. ეხლა მესამე ენაზე სიის დასაბეჭდათ და ამით გამოწვეულ ხარჯის დასაფარათ, გამგეობა სთხოვს საბჭოს კიდევ 30,000 მან. გადადებას.

კომისიის თავმჯდომარე მ. რუსიამ განმარტა, რომ კომისიასაც მარტო ტეხნიკური და ფინანსიური მხარე ჰქონდა მხედველობაში ამ საკითხის გადაწყვეტის დროს და პრინციპიალურად სომხურს ენაზე დაბეჭდვის წინააღმდეგი არ იყო. წასული წლის არჩევნებმა გვაჩვენეს როგორ ძნელია არჩევნების სიის დაბეჭვდა. შარშან სია მარტო რუსულ ენაზე იყო შედგენილი და მის გადასაწერად დაგვჭირდა მრავალ დაწესებულებებისთვის გამოგვერთვა საწერი მანქანები და მოგვეწვია სამუშაოდ მრავალი მომუშავენი, რადგანაც სიის დასტამბვა ძლიერ ძვირად ჯდებოდა. თუ ეს შარშან შეუძლებელი იყო, ამ წელს უფრო უარესად მდგომარეობს საქმე, სტამბების იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რიც დაშნაკცაკანებმაც იციან. მაშასადამე სია სამ ენაზე უნდა გადაიწეროს საწერ მანქანებზე. სად ვიშოვოთ ეხლა ამდენი მანქანები სომხურ ენაზე ან ამდენი მომუშავე, და ან ამდენი ფული, რაც მათ მისაცემად დასჭირდებათ.

ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია.

ხმ. პ. გოთუას აზრით საკმარისია არჩევნების სია მარტო ერთ სახელმწიფო ენაზე იყოს შედგენილი, როგორც შარშან, რუსულ და სომხურ ენაზე სიის შედგენა მეტათ მიაჩნია ნამეტნავათ იმიტომ, რომ რამდენ ენაზედაც იყო სია გადაწერილი იგი გადაეცემა მარტო არჩევნების ნაწილებში და ისე ვერ იქნება გამოქვეყნებული როგორც დასტამბული ყოფილიყო.

კამათის შემდეგ საბჭომ გამგეობის დადგენილება მიიღო სამ ენაზე სიის დაბეჭვდის შესახებ და დაადგინა გამგეობას კიდევ 30 ათასი მან. ზედ დამატებითი მიეცეს.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს რა მდგომარეობაშია საქმე ქალაქის მოსამსახურეთა ჯამაგირის მიუღებლობით გამოწვეულ გაფიცვის განზრახვის შესახებ. მთავრობა დაჰპირდა ქალაქს 6 მილიონის სესხათ მიცემას და ამის შესახებ სწრაფათ კანონპროექტი შეაქვს პარლამენტში. ამ გარემოებამ ცოტა სიმშვიდე შემოიტანა მოსამსახურეთა შორის და გაფიცვა ჯერ ჯერობით არ დაუწყიათ.

საბჭომ მცირე კამათის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია სოციალ-დემოკრატების ფრაქციის მიერ შემოტანილი:

მოისმინა რა ქალაქის მოურავის მოხსენება, რომლიდანაც სჩანს, რომ მთავრობა მიჰგებია ქალაქის საჭიროებას და მით ქალაქის გამგეობას მისცემია ღონისძიება დააკმაყოფილოს მოსამსახურეთა სამართლიანი მოთხოვნილება, ქალაქის საბჭოს სწამს, რომ ქალაქის მოსამსახურენი, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო, არ გადაუხვევენ იმ სწორ გზას, რომელსაც ადგნენ ქალაქის თვითმართველობისადმი დამოკიდებულებაში დღემდე, და არ დაარღვევენ ქალაქის მეურნეობის სწორე მიმდინარეობას.

შემდეგ საბჭომ მიიღო ქალაქის გამგეობის მოხსენება, რომ ქალაქის მოსამსახურეთ ნოემბერშიაც მიეცეს სრულიად პურის სიძვირით გამოწვეული ჯამაგირების დამატება.

პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად უმთავრეს კომიტეტის თავმჯდომარეს შუამდგომლობის განხილვის შესახებ, 30.000 მან. გადიდებისა პოლიტეხნიკუმისთვის და კომიტეტის მიერ მიღებულ ფულიდან 23.897 მან. 28 კაპ. სესხათ აღების ნების დართვის შესახებ, გადაიდო მომავალ კრებამდე.

სახელმწიფო თეატრის კომისარის შუამდგომლობამ ოპერის ბილეთების ქალაქის სასარგებლოთ დაწესებულ გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ კამათი გამოიწვია.

ხმ.პ. დოლუხანოვის აზრით საჭიროა ამ გადასახადიდან განთავისუფლებულ იქმნეს კონცერტების ბილეთებიც.

ხმ. ა. ხუდადოვი წინააღმდეგია ოპერის განთავისუფლებაზე იმ დროს, როცა მოქალაქენი უფრო შეუძლებელნი ბევრ სხვა გვარ გადასახადს იხდის ელექტრონს სინათლეზე, ტრამვაიზე და პურზედაც კი.

ხმ. გოთუა ამბობს, რომ ამ თეატრში ქართული წარმოდგენა, რომელზედაც ნამეტნავად დემოკრატია ესწრება, აგრეთვე უნდა მოსპოლ იქნეს ამ წარმოდგენებზე გადასახადის აკრებაც.

გამგეობის წევრი ბ. ს. ფირუმოვი ამბობს, რომ თუ ამ გადასახადს არ მოსპობს საბჭო ტფილისში ოპერის წარმოება შეუძლებელია.

საბჭომ დაადგინა მოსპოს ოპერის ბილეთებზე დადებული გადასახადი.

ქალაქის გამგეობის მოხსენება უფროს და უნცროს მილიციონერების ჯამაგირის მომატების შესახებ საბჭომ საბიუჯეტო საფინანსო კომისიას გადასცა.

შემდეგ საბჭომ განიხილა რამდენიმე მცირე საკითხი და ღამის 10½ საათზე კრება დაიხურა.

### ბაჟი განცხადებაზე.

ქალაქის გამგეობას აზრათ აქვს გაზეთებში დაბეჭდილ განცხადებებს ბაჟი დაადოს.

### ფასის მომატება ელექტრონზე.

ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა ელექტრონის ენერგიის ფასის მომატება.

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

### ქალაქის გამგეობა და კოოპერატივთა კავშირი.

ქალაქის გამგეობის და ტფილისის კოოპერატივების კავშირს შორის დამატებით შეთანხმება მოხდა ქალაქის საყასბო დუქნების კოოპერატივებზე გადაცემის შესახებ. ამ შეთანხმებისაებრ ქალაქის გამგეობა კისრულობს ნახევარ წლის სალიკვიდაციო ფულის მიცემას იმ ექვს საყასბო დუქნების მოსამსახურეებისთვის, რომლებსაც ქალაქის გამგეობა გადასცემს კავშირს ნახევარ წლის ვადით, თუ ამ დუქნების საქმე სალიკვიდაციო გახდა. ამას გარდა ქალაქის გამგეობამ უნდა გადასცეს კოოპერატივების კავშირს 50,000 მან. ამ დუქნების უკეთესად მოსაწყობათ და საკლავ საქონლის შესაძენათ.

### ტანსაცმელი მოსამსახურეთათვის.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა გამგეობაში მოსამსახურეთათვის ტანსაცმელის გასაწყობად საჭირო მასალა მიეცეს ტრამვაის და მილიციის ტანსაცმელის ქირხანის საწყობებიდან და რა მასალაც დააკლდება ამის გადმოცემა სთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის უმთავრეს კომიტეტს. ამ მასალების საწყობებიდან მიღება-გადატანა საკუთარ ალაგას და მისი განაწილება ქალაქის მოხელეთა შორის მიანდო საგანგებო კომისიას, რომელსაც შეადგენენ ქალაქის გამგეობის მოხელენი ვ. როხლინი, კაპუსტინი და იერემიზინი.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ალექსი დიმიტრის ძე კაზლოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 1749 რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
1086 3—2

მიხეილ ალექსანდრეს ძე ანდრეევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა მიცემული ქუთაისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან 1918 წ. 8 ივლისს. 1082 3—2

გიორგი ივანეს-ძე სარქისოვი აცხადებს, რომ დროებითი მოწმობა, მიღებული ტფილისის ვაჭართა ბანკიდან № 626, 14 ნოემბერს სხვა ნივთებთან ერთად წაილეს მძარცველებმა, რის გამოც გაუქმებულად ითვლება. 1056-3-2.

იოსებ ქუჩულას ძე მაქაცარიამ დავკარგე უვადო ბილეთი მოცემული 1909 წელს № 257. 1078 3—3

ტფილისის ვაჭართა ბანკი ამითაცხადებს, რომ დასახელებულ ბანკის ბილეთი № 598, 1917 წ. სექტემბ. 18 მიღებული, 4885 მან. ბალდასარ ჰაიროპეტის ძე მანუკიანცის სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. ბილეთის მპოვნელს სთხოვენ წარმოადგინოს ის ბანკში.
1038 3—3

დავკარგე ბაქოდან გამომგზავრების დროს მოწმობა ნოსირის ორკლასიანი სკოლის დამთავრებისა № 42, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1066 3—3

ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა იაკობ აროსნის ძე ფიჩხაძის მიერ მიცემული ისხაკა აროსნის ძე ფიჩხაძეზე, რომელიც არის დამტკიცებული ქუთაისის ნოტარიუსის კოკოჩევის მიერ ამა წლის 9 მარტის რეესტრის 371 ნომრით, 11 ამა ნოემბრის დადგენილებით გაუქმებულია.
997 3—2

ოზურგეთის მაზრის კომისარი აცხადებს, რომ შემოქმედის საზოგადოების რწმუნებულმა ივანე თომას ძე სიმონიშვილმა დაჰკარგა კვიტანციები, მიცემული ბიკტორ ლღონტისაგან სიმინდის საფასურში 26515 მანეთისა და მეორე 500 მანეთისა. მნახველს სთხოვენ წარმოადგინოს კომისარიატში. 635 3—2

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სიმონ გიორგის ძე ჯაფარიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჯაფარიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
1055 3—2

იოსებ გიორგის ძე გოჩიაშვილი ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიცემული ყოფილ ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდგან, რაც უნდა ჩაითვალოს გაბათილებულათ. 1072 3—3

საზოგადოების „მეგუ“-ს გამგეობა აცხადებს, რომ დაიკარგა ორი კვიტანცია მიღებული ვოლგო-კამის ბანკიდან 4½% ობლიგაციების შეერთებული რკინის გზის სესხისა 1917 წ. დადებული ფასით 30000 მ. კვიტ. № 213—27000 მ. კვიტ. № 314—3000 მ. 1088 3—1

პოდპორუჩიკი სკორიკოვი აცხადებს, რომ მას ჯიბიდან ამოაცალეს საფულე, რომელშიაც ფულთან ერთად საბუთებიც იყო: კვიტანცია საკუთარი ცხენის რეკვიზიციის შესახებ № 37 და სალიკვიდაციო განყოფილების უფროსის მოწერილობა. კვიტანცია გაუქმებულად ითვლება. 1089 3—1

იული ფელიქსის ძე სოკოლოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი № 2752, მიღებული უმცროს ნოტარიუს მიტკევიჩისაგან 1913 წ. სექტემბრის 13 გორის მაზრაში 400 ოთხკ. საჟ. მიწის შეძენის შესახებ.
1090 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 18 დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომელიც ივანე ნიკიტას ძე როენკომ 4000 მან. მიჰყიდა მიხეილ ნიკოლოზის ძე ხრომიხს მიწის ნაჭერი ქ. გუდაუთში. უბ. №№ 86 და 87, ზომით 240 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 160მან. სალერბო 20 მან. 980 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ ქ. არმავირის გლეხს, ალექსი კარპის ძე არაქელოვს, რომელიც ტფილისში ცხოვრობდა, და რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებულ. მე-1657 მუხ. თანახმად. არაქელოვი 33 წლისსა, შუათანა ტანის, შავი თმიანი, წვერები არა აქვს, პირის სახე სუფთა აქვს. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს არაქელოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება არაქელოვის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში 1032 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 12 ქ. სოხუმის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში, ნაწილი 15, № 505, გვერდი 130, მის მიერ აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობის გაუქმება, რომელიც შედგენილი იყო ტფილისის ნოტარიუს სტრახოვთან 1914 წლის ივლისის 16 მამულზე, რომელიც მდებარებს, ქ. სოხუმში, რიბნი და ფედორენკოვსკის შესახვევში, ზომით 376 ოთხკ. საჟ. სპირიდონ ბიჭიას ძე აბზიანიძის სახელზე 990 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ევდოკია პეტრეს ასულის მიკუსევის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მიკუსევის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მეათე ტ. პირველი ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1045 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ივნისის 12 ს დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი ალექსანდრა ქრისტიანეს ასული სარაჯევასი. 1029. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 21 მის მიერ დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეკატერინე იაკობის ასულმა კარიაგინამ 37000 მან. მიჰყიდა ივანე თედორეს ძე კოზლოვსკის მიწის ნაჭერის ნაწილი ქ. სოხუმში ლიტ. „Ъ“ ზომით გაყიდული ადგილი 130 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1480 მან. სალერბო 185 მ. 914. 1—4

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 21-ს მის მიერ დამტკიცებულია სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი გირავნობის მოწმობა, რომლითაც ივანე თედორეს ძე კოზლოვსკიმ 15000 მან. დაუგირავა ეკატერინე იაკობის ასულს კარიაგინას მამული ქ. სოხუმში ლიტ. „Ъ“ ზომით 130 ოთხკ. საჟ. 3 წლის ვადით 8% წლიურად. სალერბო გადასახადათ მიღებულია 185 მ. 913. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 19-ს მის მიერ დამტკიცებულია გირავნობის მოწმობა კონსტანტინე საბას ძე აფანასიადის მამულზე, რომელიც მდებარეობს ქ. სოხუმში, ბარათოვის ქუჩაზე, № 2, ზომით 285 ოთხკ. საჟ. მამული დაგირავებული აქვს იუკაპერა პოლოსის ასულს გალუსტიანს 35000 მ. წინდაწინ ერთი წლის 6% მიცემით. პროცენტები ითვლება მხოლოდ წლის მეორე ნახევრიდან. ვადა ითვლება გირავნობის მოწმობის დამტკიცებიდან. 911. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 19-ს მის მიერ დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანნა ილიას ასულმა ნიკოლაენკოვამ 7000 მან. მიჰყიდა ბარბარე ტროფიმის ასულს სკარამანგას მიწის ნაჭერი ქ. გუდაუთში № 41 უბ. № 54, ზომით 240 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 280 მან. სალერბო 35 მან.
981. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 23 მის მიერ დამტკიცებულია, ქუთაისის ნოტარიუს მოსიძესთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ასინეთა დავითის ასულმა გაჩეჩილაძემ 2000 მან. მიჰყიდა ეზეკია თეიმურაზის ძე შველიძეს მიწის ნაჭრის ნახევარი ქ. ოჩემჩირეში, ზომით: სიგრძით—24 საჟ. სიგანით—8⅓ საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებლია 400 მან. სალერბო 50 მ.
982. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 2 მის მიერ დამტკიცებულია. გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იასონ, ესფირია, ანდრია, ვლადიმერ და მიხეილ გიორგისძეებმა ზვანბაიებმა 10000 მან. მიჰყიდეს თედორე პანაიოტის ძე კანძასს მიწის ნაჭერი ქ. გუდაუთში № 2, უბ. № 7, ზომით 280 ოთკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მან. სალერბო 50 მან.
983 1—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 15 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იუკაპერა პოლოსის ასულმა გალუსტიანმა 65000 მან. მიჰყიდა კონსტანტინე საბას ძე აფანასიადის, მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში, ბარათოვის ქ. ლიტ. „დ“ ზომით 285 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადი მიღებულია 2600 მან. სალერბო 325 მან. 985 1—1.

1918 წ. ნოემბრის 6 დადგენილებით ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ეკატერინე გრიგოლის ასულის მარტიროზოვისა 1916 წ. 17 თებერვლის. 1051 1–1.

1918 წ. ნოემბრის 6 დადგენილებით, ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ეკატერინე გრიგოლის ასულის მარტიროზოვისა 1915 წ. აპრილის 18.
1050 1—1.

## ცენტრალური სასურსათო საბჭო

**(ყოფილი სასურსათო სამინისტრო)**

მადათოვის ქ. № 3, ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვალი მარილი დაწესებულ ფასებში. მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ფოთში. 952 12—10